

საერთაშორისო სამართლისკონსტიტუციური უფლებების
დაცვის საზოგადოება

Международных Прав Общество
По Защиты Конституционного Право



Society International Law,
Constitutional Rights

e-mail: z.gatashvili@gmail.com

ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ.№12/ზ19

ს/ბ № 412711766;

Tel: 568-39-24-24

№ 002

„11“ „11“ 2015წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქ-ნ. თვა წულუკიანს
საქართველოს საპროკურორო საბჭოს
არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო
სამართლის კონსტიტუციური უფლებების
დაცვის საზოგადოებ“-ის
თავმჯდომარე ზაირა გათაშვილის
რეკომენდაცია

ქალბატონო თვა, საპროკურორო საბჭოს პატივცემულო წევრებო!
ქ. ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო „საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციური უფლებების დაცვის საზოგადოებ“-ის ორგანიზაცია წარმოგიდგენთ საქართველოს მთავარი პროკურორობის თანამდებობაზე ასარჩევად ბატონ პაატა შავაძის კანდიდატურას. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში აღნიშნული პიროვნება შეძლებს იმ უმთავრესი მისიის შესრულებას, რაც ჩვენმა საზოგადოებამ დააკისრა ქვეყნის ხელისუფლებას და რასაც სამართლიანობის აღდგენა დამკვიდრება პქვია ქვეყანაში.

ბატონი პაატა შავაძე გახლავთ საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარე, ღირსეული პიროვნება, უფლება დამცველი იურისტი, სამართლის დოქტორი, იურისტთა თაობების აღმზრდელი. უამრავი საინტერესო ნაშრომის, სახელმძღვანელოების თუ დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი თუ თანაავტორი. მიგვაჩნია, რომ თავისი ბეგრანდით, უმწიკველო წარსულით, პატიოსნებითა და კანონმორჩილებით ბატონი პაატა შავაძე ნამდვილად იმსახურებს არჩეული იქნას საქართველოს მთავარი პროკურორის მადლ, საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე.

დასახელებული კანდიდატთაგან მხოლოდ ბატონმა პაატა შავაძემ მისცა თავს უფლება და საზოგადოების წინაშე წარმოადგინა თავისი ხედვები და სამოქმედო პროგრამა. ასევე ის მმართველი გუნდი, რომელთან ერთადაც ის გეგმავს შეცვალოს საგამოძიებო უწყება, ჩააყენოს იგი მხოლოდ და მხოლოდ ხალხისა და სამართლიანობის სამსახურში დამკვიდროს ქვეყანაში კანონიერება და სამართლიანობა.

მოგეხსენებათ, ბატონი პაატა მოღვაწეობდა ბათუმში და ბრწყინვალედ უძღვებო კორუბციის წინააღმდეგ ბრძოლასა და კანონიერების დაცვას ჩვენს ქვეყანაში.

თავმჯდომარე: ზაირა გათაშვილი

